



მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი _____, 2019 წ.

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ გიგა ზედანიას სახით და სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა (შემდგომში - „სკოლა“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ქეთევან ჯაყელის სახით (შემდგომში - „მხარეები“), ერთობლივი ინიციატივების განხორციელების მიზნით ვაფორმებთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს თანამშრომლობა მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე, ერთობლივი პროფესიული და სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების, ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება საჯარო სექტორში მომუშავე პირთა პროფესიული განვითარებისათვის.

3. მემორანდუმის ამოცანები

მემორანდუმის ამოცანებია:

- 3.1. აქტუალურ საკითხებზე ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, კონფერენციების, სემინარების ორგანიზება;
- 3.2. საერთო ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების კვლევა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება;
- 3.3. ორმხრივი ინტერესის სფეროში შემავალი ინფორმაციის გაცვლა;
- 3.4. ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთათვის სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- 3.5. ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, საჯარო მმართველობის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განხორციელებისათვის ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების ორგანიზება;
- 3.6. ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ერთობლივი სასწავლო პროგრამების შემუშავება ან/და კონსულტაციის გაწევა აღნიშნული პროგრამებისა და მასალების შემუშავების პროცესში;
- 3.7. ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, სასწავლო ტრენინგკურსების განხორციელება;

3.8. საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო პროექტებში ერთობლივი მონაწილეობა;

3.9. თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად კანონმდებლობით ნებადართული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

4. მხარეთა უფლებამოსილება

4.1. მხარეებს უფლება აქვთ, ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის, თანხმობის საფუძველზე, გამოიყენონ მეორე მხარის კუთვნილი რესურსები;

4.2. მემორანდუმი არ ითვალისწინებს მხარეებს შორის რაიმე სახით და/ან ფორმით ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას, თუ სხვა რამ არ იქნა დადგენილი დამატებითი შეთანხმების საფუძველზე.

5. ფორსმაჟორი

მხარე, რომელსაც ფორსმაჟორული გარემოებების გამო ხელი შეეშლება თავისი ვალდებულებების შესრულებაში, არ უნდა იქნას განხილული ამგვარი ვალდებულებების დამრღვევად და ფორსმაჟორულ გარემოებათა შედეგების შესამსუბუქებლად გამოყენებულ უნდა იქნას ყველა შესაძლო საშუალება. ამავე დროს მხარეებმა ერთმანეთთან უნდა აწარმოონ კონსულტაციები წინამდებარე მემორანდუმის შემდგომი განხორციელების საშუალებებზე.

6. მემორანდუმის მოქმედების ვადა და შეწყვეტა

6.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სამი წლის ვადით;

6.2. მიზეზის დასახელების გარეშე წინამდებარე მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდების საფუძველზე;

6.3. კონკრეტული მიზეზის მითითებით მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისათვის 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

6.4. მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეები (მათი შესაძლებლობების ფარგლებში) ვალდებული არიან, განახორციელონ ყველა შესაბამისი და აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში დაწყებული პროექტების დასასრულებლად.

7. დასკვნითი დებულებები

7.1. მხარეებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობითი ფორმით (ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით);

7.2. მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, მემორანდუმში შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ;

7.3. მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო;

7.4. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.


მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

სსიპ „ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი“

მის: ქაქუცა ჩოლოყაშლის გამზ. 3/5
თბილისი 0162, საქართველო
ს/კ 204861970
ელფოსტა: uni@iliauni.edu.ge
ვებგვერდი: www.iliauni.edu.ge

რექტორი
გიგა ზედანია

ხელმოწერა:



სსიპ ზურაბ შვანიას სახელობის სახელმწიფო
ადმინისტრირების სკოლა

მის.: ნიკეს ქ. #13 4600 ქუთაისი,
საქართველო
ტელ.: 0431 23 26 00
ვებგვერდი: www.zspa.ge
ელფოსტა: zspa@zspa.ge
ს/კ 212852055

დირექტორი
ქეთევან ჯაყელი

ხელმოწერა:

